სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. გრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას.

პარასკევი, 1 ნოემბერი, 1918 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორომა

№ 66

გაზეთის ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.
სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—11 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.
რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакція газ. „Шрома", Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარ. ცენტრალურ კომიტეტისა

საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

თანახმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში

დანიშნულია საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციების

მეოთხე ყრილობა.

დღიური წესრიგი:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
2. საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება.
3. მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება.
4. პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხვ.).
5. პარლამენტი და პარლამენტარიზმი.
6. პარტიის ტაქტიკა.
7. ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება.
8. ინტერნაციონალი.
9. პარტიული პრესა.
10. დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კომპანია).
11. ფინანსები.
12. პარტიული მუშაობა.
13. მოხსენებები ადგილებიდან.
14. მიმდინარე საკითხები.
15. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

წარმომადგენლობა: ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს. ორგანიზაციები, რომლების წევრთა რიცხვი 200 აღემატება, ყოველ 200-ზე გზავნიან თითო წარმომადგენელს.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ქ. თბილისი, 1 ნოემბერი.

ჩვენი მთავრობის წინადადებით 10 ნოემბერს უნდა შეიკრიბოს კავკასიის რესპუბლიკების პირველი კონფერენცია.

შემთხვევით არ არის, რომ ასეთი წინადადებით ჩვენს მეზობლებს პირველად ჩვენმა მთავრობამ მიმართა. საქართველოს დემოკრატია უაღრესად დაინტერესებულია კავკასიის ერების სოლიდარობაში. მას კარგათ აქვს შეგნებული, რომ კავკასიის თავისუფალ რესპუბლიკების დამოუკიდებელი არსებობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მეზობელ რესპუბლიკებს შორის დამყარდა მშვიდობიანობა და მეგობრული განწყობილება. ჩვენმა დემოკრატიამ უნდა ისარგებლოს ბალკ-ნეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გაკვეთილებით. ურთიერთ შორის მტრობამ და დიდი სახელმწიფოთა ინტრიგამ ბალკანეთში თავისი დამღუპველი ნაყოფი გამოიღო და რომ ჩვენშიც ასე არ მოხდეს, საჭიროა რესპუბლიკების საერთო ინტერესების სწორი შეგნება და ამ ნიადაგზე კავშირი და დაახლოვება. ჩვენი მთავრობის აზრით კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს შემდეგი საკითხები:

1) ურთიერთ დამოუკიდებლობის აღიარება. ამიერ კავკასიისა და კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის, რომლებსაც სწამთ თავიანთი დამოუკიდებლობა, ეს აუცილებელი ნაბიჯია.

2) ყველა სადაო საკითხების შეთანხმებით გადაჭრა. ამას გვიკარნახებს დემოკრატიის და ერის სასიცოცხლო ინტერესები.

3) რესპუბლიკებმა პირობა უნდა მისცენ ერთი მეორეს, რომ ისინი ერთი მეორეს წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოს არ შეუკავშირდებიან. ეს საუკეთესო გარანტიაა კავკასიის შოვინისტებისა და იმპერიალისტების ასალაგმავათ.

4) რესპუბლიკებმა პირობა უნდა მისცენ ერთი მეორეს, რომ ისინი საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე შეთანხმებულათ გამოვლენ და დაიცავენ საერთო ინტერესებს და დამოუკიდებლობას, ასეთი მოქმედება უსათუოდ ხელს შეუწყობს კავკასიის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას.

უეჭველია, თუ რესპუბლიკები ასე სოლიდარულად გამოვიდენ, საერთაშორისო კონფერენციაზე მათ მოთხოვნილებას და ინტერესებს უფრო მეტს ანგარიშს გაუწევენ.

ჩვენ არ ვიცით, როგორ შეხვდებიან ჩვენი მეზობლები ასეთ წინადადებას, მაგრამ ერთი კი აშკარაა: ვისაც დემოკრატიის ინტერესები ამოძრავებს და დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობის განმტკიცება სურს, კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას გვერდს ვერ აუხვევს და მის დიად მნიშვნელობას ვერ უარყოფს.

პრესა.

გაზეთი „ერთობა" კვლავ ზავის საკითხს ეხება და სხვათა შორის სწერს:

„ომმა მიაღწია თავის უკანასკნელ საფეხურს, და ზავის იდეამ, როგორც მისმა ანტიპოდმა, დაიჭირა მისი ადგილი.

ჩვენ დიადი მოვლენების წინაშე ვდგეევართ, რომლის მსგავსი არ უნახავს კაცობრიობას. ევროპის ერთა ურთიერთობაში ძრიელი რევოლიუცია მზადდება, ახალი საფუძველი უნდა მიეცეს ევროპის საზოგადოებრივობას. ზავისთვის ბრძოლა დემოკრატიის ბატონობისთვის ბრძოლაა. ზავის გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა. ხოლო დემოკრატიის ბატონობა შესაძლია იმ ნეტარ მომავლის, რომელიც ჩაგრულ კაცობრიობას ამ ქვეყნიურ სამოთხეს მიანიჭებს".

ამ დღეებში კი „ერთობა" გვიმტკიცებდა: საერთაშორისო დემოკრატია ვერ გაიმარჯვებს, იმპერიალისტურ გერმანიას ვერვინ დაამარცხებსო.

ასე ჩემო.... არა?!

ეროვნული განვითარება.

ეროვნება ისტორიული ცხოვრების ბუნებრივი ფაქტორია. ერი თავის ხანგრძლივ ცხოვრების პროცესში განიცდის განვითარების სხვა და სხვა საფეხურებს.

ზოგიერთ ხანაში ერის თავისებურება, მისი სახეობა, მეობა, უფრო აშკარათ სჩანს. ის ამ დროს გამოდის ერთგვარი კულტურის გამომხატველათ. თუ ეს კულტურა შედარებით ძლიერია, მაშინ მისი გავლენა სხვა უფრო სუსტ ერებზე (კულტურულათ) უზრუნველყოფილია. როგორც ადამიანთა შორის, ისე ეროვნებათა შორისაც სწარმოებს ბრძოლა არსებობისათვის. თვითეული ერი ცდილობს არსებობის საუკეთესო პირობების შექმნას. ის იბრძვის თავის კულტურის განმტკიცებისათვის.

ხშირათ ძლიერი ერი ცდილობს სუსტი ერის დამონავებას მისი ეროვნულ სახის გაქარწყლებას.

ბევრი ფიქრობს, რომ თვითოეული ერი, როგორც ასეთი ერთგვარი იდეის მატარებელია, რომ ის ასრულებს, რაღაც დანიშნულებას ისტორიაში. ასეთი აზრი ძალიან გავრცელებულია, მაგალითად, გერმანიაში. მრავალი გერმანელი მოღვაწენი თავის ერს განსაკუთრებულ ერათ სთვლიან. ეს დებულება სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ისტორიისათვის თვალის უბრალო გადავლება დაგვანახებს, რომ ეიყო მომენტი, როცა ესა თუ ის ერი ანვითარებდა მაღალ კულტურას და ძლიერ გავლენას ახდენდა სხვა ერებზე; მაგრამ იყო ისეთი მომენტებიც, როცა იგივე ერი კარგავდა კულტურულ პრიორიტეტს და თვით განიცდიდა სხვა ერის გავლენას. ერი, როგორც ასეთი, არ არის რაიმე განყენებული იდეის მატარებელი, მხოლოდ მას შეუძლია ამა თუ იმ დროში სხვა ერებს გაასწროს და თავისი ახალი სიტყვა სთქვას, ე. ი. თავისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის კულტურის სალაროში. ისე კი, შეუძლებელია ვსთქვათ თითქოს ამა თუ იმ ერს ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული ისტორიული მისია. ახალი ფორმების, ახალი აზრების შეტანა ისტორიაში ყოველ ერს შეუძლია, თუ კი ის სათანადოთ გაანვითარებს შემოქმედებით ძალებს.

ისტორიაში ჩვენ ვიცით მრავალი მაგალითები, ერების გაქრობისა. ძველათ არსებული ბევრი კულტურული ერები დღეს არ არსებობენ. ისინი გაჰქრენ. ადამიანი თავის სიცოცხლეში განიცდის შემდეგ საფეხურებს. სიყმაწვილე, ვაჟკაცობის ხანა, სიბერე და შემდეგ სიკვდილი. ადამიანის სიკვდილი ბუნებრივი მოვლენაა. ესევე არ შეგვიძლია ჩვენ ვსთქვათ ერის შესახებ. მართალია, ერიც განიცდის განვითარების სხვა საფეხურებს: პირველი ფეხის ადგმას, განმტკიცებას და შემდეგ სისუსტის ხანას, მაგრამ ერის ცხოვრებაში ეს მომენტები შესაძლებელია ხშირათ განმეორდეს. შემაძლებელია, ერმა რამოდენიმეჯერ განიცადოს განმტკიცების და სისუსტის ხანა. ამას გარდა ბუნებრივი სიკვდილით ერი იშვიათად კვდება. სიკვდილის მიზეზათ გამოდის გარეშე ძალა.

რომ ერის არსებობა ხანგრძლივი იყოს, საჭიროა, რომ იგი მუდმივ განვითარების გზას ადგეს.

ერთგვარ კულტურულ ფორმებში გაყინვა, უმოძრაობა ხიფათს უმზადებს ერს. აუცილებლათ საჭიროა, რომ ერმა ფართოთ გაუღოს კარები ყოველ ახალ პროგრესიულ აზრს, მოვლენას.

ძიება და ბრძოლა, ეს სიტყვები უნდა იყოს ერის ცხოვრების სინონიმებათ. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება შესაძლებელი ერის განვითარება. მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას გახდეს საერთაშორისო ცხოვრების ღირსეულ წევრათ და თავისი კულტურული განძი შეიტანოს საკაცობრიო ისტორიაში.

კალმისტარი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა საგენტოსაგან).

ლონდონი, 29 ოქტ. საგარეო საგინისტრომ მიიღო ავსტრია-უნგრეთის პასუხი ვილსონის ნოტაზე. თ

ბუდაპეშტი, 29 ოქტ. უნგრეთის მთავრობის განკარგულებით ფიუმე კროატებს გადასცეს. ქალაქის საბჭო დათხოვნილია. ყველა სამმართველოში შეჩერებულია მოქმედება. ფიუმეს ბედს საზავო კონფერენცია გადასწყვეტს.

პრაგა, 29 ოქტომბ. ჩეხიის ნაციონალურ კომიტეტმა დაადგინა: ამიერიდან ყველა არსებული კანონი ბრძანება, მართვა-გამგეობა და სამართველონი უნდა დაექვემდებაროს ჩეხიის ნაციონალურ საბჭოს.

ვენა, 30 ოქტ. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. ტირესპოლის ფრონტზე უმნიშვნელო ბრძოლაა. ტრენტის და პიავის შუა მტრის ძლიერმა ძალამ იერიში მოიტანა აზოლონის და მონტე-პეტრიკის წინააღმდეგ. ჩვენი ჯარის სამმაცევ უნაყოფოთ ჩაუტარა მტერს ცდა ვენეციის 3 ველში ინგლისელები და იტალიელნი წინ მიიწევენ. მონტელოს ჩრდილოეთით და სამხრეთით მათ შესძლეს პოზიციების გაფართოვება და წინ წაწევა. თანახმათ ჩვენი გადაწყვეტილებისა ბოლო მოუღოთ ხალხთა შორის ბრძოლას და დროებითი ზავი ჩამოვაგდოთ, ჩვენი ჯარი იტალიის საზღვარზე დაჭერილ ადგილებს სცლის.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. სერბიაში აღმოსავლეთის ფრონტზე მომქმედი ჩვენი სამხედრო ძალა გადავიდა დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე სუავესთან და დრინესთან უკან დახევა წესიერათ მიმდინარეობს. მტერი ჩვენ არსად გვავიწროებს. ალბანეთში მომქმედ ჩვენ სამხედრო ძალას რამოდენიმეჯერ შეხვდა შეტაკება ბრბოსთან.

სტამბოლი, 30 ოქტ. ფრონტზე აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

ბერლინი, 30 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე ღირსაღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

ბერლინი, 30 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლისის დაბლობში, ლისის და შელდის შუა, ფამართან და ენგლფონტენთან მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ტურნეს განაპირა უბნებს და შელდის დაბლობის დაბებს ინგლისელები ესვრიან, რამაც მშვიდობიან მცხოვრებთა შორის მრავალი იმსხვერპლა-

გერმანიის კრონპრინცის არმია. დილით ადრე მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა უაზის არხზე. საფრანგეთის ჯარმა ნიზი-ლე-კონტის და ენის შუა, არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემდეგ და მრავალი ტანკის დახმარებით იერიში განაახლა. უკანასკნელ. ბრძოლებში გამოწრთვნილ გენერალ უბერხარდის და ფონ-ბელოვის ჯარმა, გუშინ მტრის ძლიერი იერიში მოიგერია. 18 კილ. ფრონტზე მათ სავსებით მოიგერიეს მოკავშირეთა იერიში და გაიმარჯვეს. კლეინ-კანტენის სამხრეთით თავი ისახელა ბრანდენბურგის მე-8 პოლკმა, ვენონის აღმოსავლეთით—ვესტფალიე მე-53 პოლკმა და ენის მაღლობებზე მეკოენ ბურგის მე-90 პოლკმა. ხერტის ჩრდილოეთ-დასავლეთით დროებით დაცლილი პოზიციები, კონტრიერიშით ისევ დაიბრუნა ჩვენმა ჯარმა.

საღამოთი მტერმა განაახლა იერიში, რომელიც ჩვენმა ჯარმა მოიგერია. ფრანგებს გუშინ დიდი ზარალი მივაყენეთ. გაუნადგურეთ მრავალი ტანკი ვუზიერის ორივე მხარეზე და მდ. ენის აღმოსავლეთით დროგამოშვებით საალტირელიო ბრძოლა სწარმოებდა, გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 27 ჰაეროპლანი და 6 ბალონი. ლეიტენანტ დორმა უკანასკნელ დღეებში 34-ჯერ გაიმარჯვა ჰაერში, ლეიტენანტ ფროლემგიელმა-30-ჯერ.

ზავის საკითხი გერმანიაში.

გერმანიის რადიოს ცნობა. 28 ოქტომბერი.

„თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირმა" ხალხთა ლიგის სასარგებლოთ, შაბათს, ორი

მრავალრიცხოვანი კრება გამართა, სადაც საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დოქტორ დერნბურგმა ხალხთა ლიგის იდეის წარმოშობის ისტორია განმარტა და აღნიშნა, რომ ეს იდეა კლასიკურ ფორმით იყო და წერილი და აღსნილი ემანუილ კანტის მიერ. დერნბურგმა განაცხადა, რომ ვილსონის მიერ წამოყენებული 14 პუნკტი სავსებით ახორციელებს იმ მოთხოვნილებათ, რომელიც კანტმა წამოაყენა თავის სხვა და სხვა ნაწარმოებში. ხალხთა ერთშირის არსებობისთვის აუცილებელია მოისპოს ის უთანხმოება, რომელსაც ახლა ადგილი აქვს ევროპაში და განსაკუთრებით მონობის ქვეშ მყოფ ადგილებში. უპირველესათ მომავალი ზავი უნდა იყვეს სამართლიანობაზე დამყარებული და ისეთი, რომელიც დიდ სახელმწიფოებს არ წარუდგენს ისეთ მოთხოვნილებებს რომელიც შებღალავს მათ ღირსებას და გრძნობას. უამისოთ ხალხთა ლიგა წარმოშობისთანა საფთხეში ჩავარდება. თუ კი ხალხთა კავშირი მხოლოდ იმის საშუალებაა, რომ გერმანია ომის დასასრულზე დააუძლუროს და საუკუნოთ განმტკიცდეს ის პირობები, რომელსაც წარუდგენენ გერმანიას როგორც დამარცხებულ ერს, იმ შემთხვევაში ასეთი ხალხთა კავშირი არ იქნება მტკიცე. გერმანიის დიადი ერი არავის შეუძლია დაბრმავებულ სამსონივით აბუჩათ აიგდოს. რეიხსტაგის უმრავლესობის პარტია სავსებით იზიარებს ხალხთა ლიგის ძირითად საფუძველს და სურს მისი დამტკიცება, რადგან ხალხთა ლიგა ერთათერთი საშუალებაა რომლითაც შეიძლება მტკიცე ზავის დამყარება. მოხსენების შემდეგ რეიხსტაგის უმრავლესობის პარტიათა წარმომადგენელნი გამოვიდნენ განმარტებებით და მოიწონეს ხალხთა კავშირის იდეა. ასეთ განმარტებით გამოვიდა სოც.-დემ. ლეგიენი, ცენტრის წევრი ბარონი ფონ-რესენბერგი და ნაციონალ-ლიბერალი ბარონი ფონ-რიხტგეფენი. ამის შემდეგ ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირი“ რომელსაც მიემხრო ოთხი მილიონზე მეტი ეკონომიურათ შეკავშირებული მუშა და მოხელე, ახალი გერმანიის კულტურულ სახელმწიფოთა ოჯახში შესვლის გზას ხედავს ხალხთა ლიგის შექმნაში, როგორც ეს აღიარა სახელმწიფოს სამართველომ და რეიხსტაგის უმრავლესობამ ვილსონის წინააღმდეგობათა სრული თანხმობით საფუძვლით აუცილებელია შემდეგი: ყველა ხალხის სწორუფლებიანობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა-სამედიატორო სასამართლოს საშუალებით, ზღვათა თავისუფლების პრინციპის გატარება ცხოვრებაში, შეთანხმება დროებით და სამუდამო განიარაღებაზე, მიმოსვლის თავისუფლების გარანტია და მუშათა ინტერნაციონალურ უფლებათა შემუშავება. გერმანიამ ამ კულტურულ მუშაობაში დანარჩენ ხალხთან ერთათ თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს. ამას მით უფრო ადვილათ მივაღწევთ, რამდენათ საზოგადოებრივ ძალთაგან სახალხო მთავრობა, ფართო მასის ნდობით აღჭურვილია, კონსტიტუციაში ნათლათ გაატარებს და უზრუნველყოფს პოლიტიკურ თავისუფლებას და სოციალურ პროგრესს. ამგვარ ხალხთა კავშირს ექნება მტკიცე საფუძველი და იმედი, რომ ომი დასრულდება სამართლიანი ზავით, რომელიც, როგორც სხვა, ისე გერმანიის ხალხის ღირსებას არ შეგბოალავს და უზრუნველყოფს მათ არსებობას და განვითარებას. სრულიად დარწმუნებული გერმანიის ხალხის სიძლიერეში, როგორც ფრონტზე, ისე შიგნით, „თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირი“ მხარს უჭერს სახალხო მთავრობას და სახალხო წარმომადგენლობას, რომელიც ესწრაფვის ასეთ ზავს და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს სამართლიან ზავის მიღწევის და ხალხთა ლიგის დამყარებას საქმეში“. შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც სახალხო მთავრობას ნდობას უცხადებენ და ნათქვამია; „სახალხო კავშირი მოითხოვს, რომ მთავრობამ გადალახოს ყველა დაბრკოლება, რომელიც მათი მიზნების განხორციელებას ეღობება“.

ახალი ამბავი.

● თანამდებობიდან განთავისუფლების თხოვნა. ქუთაისის გუბერნიის საადგილმამულო გამგეობის თავმჯდომარე ვ. ნ. ქუთათელაძემ თანამდებობიდან განთავისუფლების თხოვნის ქალაქი შეიტანა ცენტრალურ საადგილმამულო კომიტეტში.

● ახალი პრეზიდიუმის არჩევა ქალაქის მოსამსახურეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია ახალი პრეზიდიუმი თავმჯდ. არის როხლინი მის ამხანაგებად კაპუსტინი და ტუშმალოვი ხაზინადრად ს. ატასაზოვი.

● შუამდგომლობა. ცენტრალურ საადგილმამულო გამგეობამ იშუამდგომლა მიწათმოქმედების მინისტრის წინაშე მისცეს ქუთაისის გუბერნიის საადგილმამულო კომიტეტს ათ მილიონიან ფონდიდან 120000 მ. მიმღებ კომისიების და საჭიროებისათვის.

● ახალი გაზეთი. თბილისში გამოდის რუსულ ენაზე ახალი ყოველკვირეული გაზეთი „გოლოს რესპუბლიკანცა“

● თავის ჩამორჩობა. 29 ოქტომბერს თავის სახლში (ყაზბეგის ქ. № 11) თავი ჩამოირჩო მეწაღე ივანე ომუაშვილმა. განსვენებულმა დასტოვა წერილი, სადაც წერს, რომ ცოლის სიკვდილის შემდეგ მას აღარ უნდა სიცოცხლე.

საქართველოს და სომხეთის დამოკიდებულების გარშემო-

თბილისი, 30 ოქტ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გორიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„ჩვენ, გორელი სომხები, ღრმა გაკვირვებას გამოვსთქვამთ იმის გამო, რომ სომხეთის მთავრობამ საქართველოსთან საზღვრების საკითხის გადაჭრა იარაღის საშუალებით განიზრახა. და ამ მოვლენას, მაშინ როცა ევროპის ხალხი ყველა სადაო საკითხების გადაჭრას მშვიდობიანი გზით ცდილობს, დემოკრატიისთვის დამღუპველათ ესთვლით და გთხოვთ ძმათა შორის სისხლის ღვრას ხელი შეუშალოთ. „დეპეშაზე ხელი მოაწერა 170 კაცმა.

საგარეო რუსეთში.

(წერილი მეორე.)

რეპრესიები, რომელნიც საბჭოთა მთავრობამ გაამეფა მუშების და საეროთოთ ყველა მოწინააღმდეგეთა მიმართ, გავრცელდა აგრეთვე მთელი თავისი საშინელებით პრესაზე. ბეჭდვითი სიტყვის კომისარი ვოლოდარსკი ისეთი სისასტიკით სდევნიდა ყოველივე ცოცხალ აზრს, რომ ძველი დროის ცენზურა ტკბილ მოგონებათ გახდა. სტამბების რეკვიზიცია გაზეთების დახურვა, წერილებისთვის ციხეში ჩასმა—ეს ჩვეულებრივ და ნორმალურ მოვლენათ გადაიქცა. ერთი წერილისთვის დაიჭირეს აგრეთვე ბიქტორ ჩერნოვიც. რასაკვირველია, ჩვენს პარტიას არ სძინავდა.

მებრძოლი რაზმები.

მებრძოლ რაზმებს ხელმძღვანელობდენ ცნობილი კომისრები კერენსკის დროისა—ფილონენკო და მოისეენკო—ძველი ტეროორისტები და თავგამოდებული მებრძოლნი პეტროგრადში მებრძოლ ორგანიზაციებს მოისეენკო და ფილონენკო ხელმძღვანელობდა, მოსკოვში კი სავინკოვი.

ბოლშევიკების ტერორი.

საბჭოთა მთავრობამ, საშინლად გააძლიერა ტეროორი, მაგ. ვოლოდარსკის მკვლელობისთვის 500 კაცი იქნა დახვრეტილი. ურიცკის მკვლელობისათვის 517. მას საბჭოთა „იზვესტიებიც“ იუწყებოდენ. კომისარ პოდბელსკის მკვლელობისათვის დაჭერილ და დახვრეტილ იქნა 1756 კაცი. კომენტარიები ამ ციფრებს არ სჭირდება.

ს.-რ-თა პარტიაში.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ხალხმა, როგორც იტყვიან „უტია“ ჩვენს პარტიას, უარესი ბედი ეწია მენშევიკებსაც. ამის ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი აგრეთვე იყო ის მოვლენა, რომ პარტიამ ვერ შეირჩინა მთლიანობა და სამნაწილათ გაიყო. ამან, რასაკვირველია, ძლიერ შეასუსტა ჩვენი სამოქმედო ძალები.

დიდი ზიანი მოუტანა ს.-რ-თა პარტიას იმ შემთხვევითმა ელემენტებმა, რომელნიც მემარცხენე ესერების სახელით მოევლინენ რუსეთს.

ოქტომბრის დღეებში ეს ჯგუფი გაძლიერდა და პეტროგრადის ს.-რ. კომიტეტი თითქმის სულ მემარცხენე ესერებისგან შედგებოდა. პეტროგრადში ამ ორგანიზაციამ თითქმის მთელი ძალა ჩამოაშორა ცენტრს და ეს უკანასკნელი თავისი ენერგიით სცდილობდა, როგორმე შეეჩერებინა ეს წარმავალი მასა. პარტიამ პეტროგრადში ახალი მუშაობა დაიწყო და ახალი იაჩეიკების შექმნა მიანდო საუკეთესო ამხანაგებს. და დაიწყო ისევ ჯგუფური მუშაობა. ამ საქმეში დიდი სამსახური გაუწიეს პარტიას ახალგაზრდა ძალებმა, როგორიც არიან ზეიმანი, კაცმანი და სხვა. ეს ორი ამხანაგი სარგებლობდენ მუშების განსაკუთრებული სიმპატიით და მათის შემწეობით მუშათა ნაწილი კიდევ შერჩა პარტიას. ძველი „ლენინის“ ქარხანა, რომელიც წინეთაც სულ ესერული იყო, მთლიანათ შერჩა პარტიას. ასე იყო ვიბორგის რაიონის ნაწილებშიაც.

გაძლიერება.

განვლო ბოლშევიზმის სატრიუმფო დღეებმა და მოტყუებულმა ხალხმა გამოფხიზლება დაიწყო. მუშებში დრომ დიდი ტეხილი მოახდინა და რამოდენიმე თვის შემდეგ ის მუშები, რომელნიც წინეთ პარტიულ ბილეთებს გვიბრუნებდენ და პარტიაზე უარს აცხადებდენ, კვლავ მოდიოდენ ჩვენს ბიუროებში და სთხოვდენ პარტიას კვლავ მიეღო ისინი. აღსანიშნავია, რომ ეს დაბრუნებული მუშები, რომელთაც განიცადეს ბოლშევიზმის დემაგოგიის და დემოკრატიზმის მშვენიერება, განსაკუთრებულის ენერგიით მუშაობდენ პარტიისთვის. და დაიწყო ისევ ესერთა გაძლიერება. კვლავ მოაწყდა მუშები ჩვენს ორგანიზაციებს, კვლავ ძალა მოიკრიბა პარტიამ.

ჩვენ და ბოლშევიკები.

წინეთ ბოლშევიკები ჩვენს პარტიას მაინც და მაინც არ აქცევდენ დიდ ყურადღებას. არც ჩვენს პრესას სდევნიდენ. არც იჭერდენ ჩვენს წევრებს. მათ საქმე ქონდათ უმეტესათ მემარცხენე ესერებთან. მაგრამ როგორც კი მასამ მათ ზურგი აქცია, და მთელი აქტიური, შეგნებული პროლეტარიატი ჩვენსკენ მოდიოდა, დამოკიდებულება შეიცვალა. ბოლშევიკებმა იგრძნეს საფრთხე და ამ საფრთხეს თავისებურათ ბრძოლა დაუწყეს. ჩვენი გაზეთების დახურვა თანამშრომლების დაჭერა და დახვრეტა, ჩვენი მიტინგების სროლით დაშლა—ჩვეულებრივ მოვლენათ გარდაიქცა. რუსეთს არ ახსოვს ისეთი საშინელების კოშმარი, რომელიც ამ დროს ბოლშევიკებმა გაამეფეს.

რუსეთელი.

(გაგრძელება იქნება)

საჭიროა ყურადღება მიექცეს!

ამჟამად მინდა მკითხველების ყურადღება მივაქციო იმ წესებს, რომლებიც გამეფებულია კახეთის რკინისგზის ზოგიერთ დაწესებულებებში ზოგიერთი უპასუხისმგებლო მოხელეების უკანონო მოქმედების გამო. ამათ რიცხვს ეკუთვნის, სხვათაშორის, კახეთის რკინისგზის მართველობის, მასალის ნაწილის ბუხგალტერი, ბ. კაჯინსკი, რომელიც ასე მკაფიოდ არის დახასიათებული „керосинопровод“-ის მოსამსახურეების და ხელოსნების საზოგადო ყრილობის ოქმში (13 აპრილს 1917 წ.). აი რას მოგვითხრობს ეს ოქმი ბ. კაჯინსკის შესახებ ყრილობის დადგენილობის სახით:

1) დამოკიდებულება კაჯინსკისა, როგორც ტიპიური და აშკარა გამომხატველი ძველი პოლიციის წესწყობილებისა, სხვა მოსამსახურეებთან, იყო--უკიდურესად გამომწვევის, უმიზეზოდ გადაკიდების და დესპოტიური ხასიათისა, რის გამო ყოველი მისი ხელქვეითი ჰკარგავდა ადამიანურ პიროვნებას.

2) იმ მიზნით, რომ ავნოს მისთვის არასასურველ პირებს, ბ. კაჯინსკი არ დრკებოდა არავითარ საშუალების წინაშე: ფართოდ სარგებლობდა „დონოსებით“ და, სთხზავდა მისთვის არასასურველ პირებზე ისეთ ფაქტებს, რომლებსაც არსად და არასოდეს ადგილი არა ჰქონიათ.

3) იყენებდა თავის სამსახურს პირადი ინტერესებისათვის, რისთვისაც, მოსყიდვის სახით, ამაღლებდა სამსახურში არა ღირსეულ პირებს და მით ზიანს აყენებდა თვით სამსახურს და მოსამსახურეებს.

4) პირადი ინტერესებისთვის სარგებლობდა თავის უფროსობით.

5) დამტკიცებულია მისი, კაჯინსკის მონაწილეობა ელექტრომეხანიკის ჩიჯოვის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში, რისთვისაც იგი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, და რომელიც შესდგებოდა სახელმწიფო ქონების ქურდობაში და მუშების ექსპლოატაციაში, პირადი, ბ.. კაჯინსკის ინტერესებისათვის. იპარავდა სათბობ საგნებს და სახელმწიფო მასალას.

6) როდესაც სადმე თავის კეთილ საქმეებისათვის მიდიოდა, ყოველ ასეთ მოგზაურობის დროს იწერდა „სუტოჩნიებს“.

7) გამოსაცდელი სახლის მუშებს და ხელოსნებს არიგებდა, რომ ისინი მიტინგებს არ დასწრებოდენ, რაც გამოაშკარავეს მუშებმა მოსამსახურების საზოგადო ყრილობაზე.

8) როგორც ბუხგალტერი, კაჯინსკი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და სრულებით არ შეეფერება თავის დანიშნულებას; სრულებით არ შესწევს ცოდნა საქმის წინამძღოლობისა და წარმოებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საზოგადო ყრილობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კაჯინსკის, როგორც მავნე ადამიანის, სამსახურში დაშვება არას გზით არ შეიძლება და ამიტომ დაადგინა: ეთხოვოს მთავარ გამგეობის უფროს დაუყონებლივ გადააყენოს ბუხგალტერი—კაჯინსკი სამსახურიდან და ეს დადგენილება გადაეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტს მის სამსახურიდან მთლად გამოსარიცხავად. ეჭვს გარეშეა—რომ ასეთი ადამიანი საპატიო მანძილზე უნდა დაებარებინათ საქართველოს რესპუბლიკიდან მაგრამ „კეროსინოპროვოდიდან“ გადაჰყავთ ბუხგალტერის ადგილზე მასალის ნაწილში ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ გამგეობაში. ამ ახალ ადგილას ბატონ კაჯინსკის წინ აღუდგა შეუჭეჯნავი სინიდის მოსამსახურეებისა და ადგილობრივმა კომიტეტმა 5 ენკენისთვეს შემდეგი დადგენილება გამოიტანა: გამოვდივართ რა იმ ფაქტებიდან, რომელნიც ახასიათებენ ბ. კაჯინსკის, როგორც ადამიანს და მომუშავეს, კომიტეტი სცნობს, რომ კაჯინსკის დანიშვნა ახალ თანამდებობაზე ძლიერ დააზარალებს სამსახურს და მოსამსახურეებს. ამის გარდა ბ. კაჯინსკის ბუხგალტერად დანიშვნა არის მისი ამაღლება, როგორც სამსახურის—ისევე მატერიალურის მხრივად და ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება ცენტრალურ კომიტეტის რეზოლიუციას, რომლის ძალითაც კაჯინსკის საქმისათვის სრული ლიკვიდაცია უნდა ეყოთ. ამის გამო მასალის ნაწილის მოსამსახურეების აღმასრულებელი კომიტეტი ბ. კაჯინსკის ბუხგალტერად დანიშვნას სცნობს არა სასურველად.

ასეთმა კატეგორიულმა დადგენილებამ თავისი ნაყოფი გამოიღო და უფროსები აიძულა ბ. კაჯინსკისთვის კარგი ეჩვენებინათ. მაგრამ ბ. კაჯინსკის მეგობრები გამოუჩდნენ და ის ამიერკავკასიის რკინისგზის გამგეობიდან გადმოყავთ კახეთის რკინის გზის გამგეობაში იმავე ბუხგალტერის ადგილზე ის თავისას განაგრძობს მოსამსახურეთა შორის ბ. კაჯინსკის მიერ ითესება შუღლი და გესლი, ბ. კაჯინსკიმ ერთის თვის განმავლობაში ისეთი ატმოსფერა შექმნა, რომ ყოველივე მოთმინების ფიალა აღივსო. 5 ამა ოქტომბერს კახეთის რკინის გზის მართველობის მოსამსახურეებს და ცენტრალურ კომიტეტის შეერთებულმა ყრილობამ, განიხილა რა ბ. კაჯინსკის მოღვაწეობა წარსულში და აწმყოში, დაადგინა: საქმის და მოსამსახურეების ინტერესების დასაცავად და მიზან შეწონილ მუშაობისთვის კაჯინსკის სამსახურში დატოვება ყოველად შეუძლებელია და მას მოსამსახურენი ვერ მოითმენენ; ამის გამო ყრილობა ადგენს ბ. კაჯინსკი დაუყონებლივ დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან, ეთხოვოს გზის მთავარ გამგეს და ცენტრალურ კომიტეტს ეს დადგენილება სისრულეში მოიყვანონ.

ჩვენ არ თანაუგრძნობთ, როდესაც ამა თუ იმ პირს ითხოვენ მარტო იმიტომ, რომ მისი ფიზიონომია არ მოსწონთ, მაგრამ როდესმც ამა თუ იმ პირს ამტყუნებენ ბოროტმოქმედებაში, მაშინ ამისთანა პირის სამსახურიდან დათხოვა აუცილებელი ხდება. აქ გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ასეთ პირს ძველი პოლიციის რეჟიმის მოტრფიალეს დღესაც უჩნდებიან ქომაგნი დემაგოგები ჩვენ ვფიქრობთ რომ, გზათა სამინისტრო ამას უსათუოდ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და მით ალაგმავს ბოროტმოქმედთ.

მოქალაქე

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.